პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 113 (2476) ◉ ოთხშაბათი, 10 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

## ს. ლიხაჩოვის პროტესტი

9 ივნისს, ინგლისში ბეკნემ-კლუბის შეჯიბრება წარმატებით დაიწყეს საბჭოთა ჩოგბურთელებმა თ. ლეიუსმა და ს. ლიხაჩოვმა. პირველმა მოუგო ახალზელანდიელ ჩ. პარკერს — 6:1, 6:3. ს. ლიხაჩოვმა უარი თქვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენ დ. ფილიპსთან შეხვედრაზე ფერადკანიან სპორტსმენთა დისკრიმინაციის პროტესტის ნიშნად, რასაც ადგილი აქვს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

ახალი კენჭისყრის შემდეგ იგი ამერიკელ ხ. სუინის შეხვდა და დამარცხა — 6:4, 6:4.

## [illegible] საათს!

◆ **მოსკოვი.** დღეს პარიზს გაემგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს საფრანგეთის გუნდებთან. ეს იქნება უკანასკნელი რეპეტიცია ევროპის თასზე დანიელებთან ნახევარფინალური მატჩის წინ, რომელიც 17 ივნისს გაიმართება ბარსელონაში.

◆ **პეკინი.** ჩინელმა სპორტსმენმა ქალმა იუ შუ-ხენმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწია სიმაღლეზე ხტომაში. მისი შედეგი — 179 სმ ერთ-ერთი საუკეთესოა მძლეოსნობის ისტორიაში.

◆ **გუშინ** ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა „ა" კლასის II ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი კალენდარული მატჩები. მათი შედეგები ასეთია: I ქვეჯგუფი — „ენერგეტიკი" (დუშანბე) — „ზარია" (ლუგანსკი) 0:0, „დინამო" (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) 2:0; II ქვეჯგუფი — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — სკა (ოდესა) 0:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 0:2, „ტრუდი" (ვორონეჟი) — „დინამო" (ტალინი) 2:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ალგა" (ფრუნზე) 3:0, „კარპატი" (ლვოვი) — „არარატი" (ერევანი) 2:1.

◆ *მოსკოვი, 9 ივნისი. დღეს პოლონეთს გაემგზავრა საბჭოთა ჩოგბურთელების ჯგუფი, რომელშიც შედიან ე. და ა. პოტანინები, ვ. ეგოროვი და სხვ. ჩვენი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ზეგ იხსნება ქ. პოზნანში.*

## ლენინგრადის „სპორტი" — კუბისთვის

**ლენინგრადი.** (საკდესი). შტანგას, რომელსაც ამზადებენ ლენინგრადის სპორტული ინვენტარის ექსპერიმენტულ ფაბრიკა „სპორტში", იცნობს საბჭოთა კავშირის ყველა სახელგანთქმული ძალოსანი. მისი ბურთებით თამაშობენ ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელები, კალათბურთელები, ფრენბურთელები და წყალბურთელები. „სპორტი" მძლეოსნურ ინვენტარს აწვდის საბჭოთა კავშირის ყველა მსხვილ სტადიონს, ამარაგებს მოფარიკავეებს, მოჭიდავეებს. ფაბრიკამ ბევრი ჯილდო მოიხვეჭა საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებსა თუ გამოფენებზე. მისი ნაწარმოები ამჟამად გამოფენილია ზაგრებში (იუგოსლავია).

მალე ლენინგრადის „სპორტის" მარკას გაიცნობენ კუბაშიც. ფაბრიკას დაევალა კუბის ფიზკულტურის ინსტიტუტისთვის სპორტული ინვენტარის სრული კომპლექტის დამზადება. თავისუფლების კუნძულზე გაიგზავნება ბურთები, ელექტროტაბლოები, შტანგები, თამასები ხტომებისთვის, თარჯები, ბირთვები, სატყორცნი უროები...

ფაბრიკის მუშებმა გადაწყვიტეს დაკვეთა ვადაზე ადრე —1 აგვისტოსთვის შეასრულონ.

## ვრცელია ჩვენი სამშობლო...

## კოლექცია, რომლის მსგავსი მეტი არაა

**მოსკოვი.** (საკდესი). იური რუბინის კოლექციაში 1000-ზე მეტი სპორტული ნიშანი და მედალია. ეს კოლექცია ნამდვილად უნიკალურია: მსგავსი არა აქვს არავის მსოფლიოში. სუვენირების სხვა შემგროვებლებისგან განსხვავებით, მისი პატრონი არავის უცვლის დუბლიკატებს და არ ეძებს იშვიათობებს. და მაინც, მან წინასწარ იცის, როდის და რით შეივსება მისი კოლექცია.

თავისი ექსპოზიციის ერთ-ერთ მომავალ ექსპონატს იური სიმონის ძე ჯერჯერობით მხოლოდ ნახატის სახით წარმოგვიდგენს. ეს მედალია. მის ერთ მხარეს სპასკის კოშკისა და კრემლის სხდომათა დარბაზის რელიეფია, მეორე მხარეს კი — ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ნამგალი და ურო და წარწერა: „სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი, 1964 წელი"...

ასეთ მედლებს წაიღებენ თან საბჭოთა სპორტსმენები ტოკიოში სუვენირებად.

## სპორტული შუქურა

**ჩელიაბინსკი.** (საკდესი). „მაიაკი" — ასე ეწოდება ნორჩი ურალელების ახალ სპორტულ სკოლას. იგი შეიქმნა ჩელიაბინსკში პედაგოგიური ინსტიტუტისა და ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მიერ.

სკოლაში 250 ნორჩ სპორტსმენზე მეტი მეცადინეობს. წვრთნას საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობენ პედინსტიტუტის მასწავლებლები და ფიზაღზრდის ფაკულტეტის სტუდენტები. სკოლა მხოლოდ ნახევარი წელია არსებობს, მაგრამ ამ ხნის მანძილზე მის 20-მდე აღსაზრდელს უკვე მიენიჭა სპორტული თანრიგი. 6-მა მათგანმა მოზრდილთა მეორე თანრიგიც კი მოიპოვა ტანვარჯიშში, ხოლო სკოლის მოჭადრაკეებმა გაიმარჯვეს თანატოლთა საოლქო და სრულიად ურალის შეჯიბრებაზე.

## სტარტი — ცეცხლისმფრქვევი ვულკანის კრატერთან

**კამჩატკის პეტროპავლოვსკი.** კვირა დილით სპორტსმენთა ჯგუფმა დაიწყო ასვლა ავაჩინის მოქმედი ვულკანის მწვერვალისკენ. მას თან ჰქონდა სლალომის თხილამურები. 6 საათის შემდეგ ჯგუფის წევრები დანიშნულების ადგილზე იყვნენ.

2.700 მეტრის სიმაღლეზე ცეცხლისმფრქვევი კრატერიდან 5 მეტრის დაშორებით სტარტი მიეცა უმაგალითო ათკილომეტრიან დისტანციაზე თხილამურებით ჩქაროსნულ დაშვებას. 5 წუთის შემდეგ ისინი უკვე ვულკანის ძირში იყვნენ.

დაშვებაში მონაწილეობდნენ ა. მაქსიმენკო, ს. ტიხომიროვი, ვ. ივანჩენკო და ა. იაშჩენკო.

## ბაზები ტურისტებს ელიან

საღგურ ვაივარის მახლობლად რიგის ყურის სანაპიროზე სტუმართმოყვრულად გაიხსნა ახალი ტურისტული ბაზის კარი. იგი 150 ადამიანზეა განკუთვნილი. მან უკვე მიიღო საკავშირო მარშრუტების პირველი ტურისტები, რომელთა განკარგულებაშია ნათელი კომფორტაბელური ოთახები, დასასვენებელი სალონები.

კიდევ ერთი ტურისტული ბაზა აშენდა რიგაში გრაუდუს ქუჩაზე. ისიც 150 ექსკურსანტზეა ნავარაუდევი.

„ლატვიურ შვეიცარიას" უწოდებენ სიგულდის ირგვლივ გაშლილ თვალწარმტაც ხედებს. ზაფხულობით აქ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ათასობით ტურისტი ჩამოდის. მათთვის გაშლილია კარვების ქალაქი. სიგულდა ზამთრის თვეებშიც მიიღებს ტურისტებს.

ტურისტული ბაზები გაშენდება რესპუბლიკის სხვა კუთხეებშიც. თვით ლატვიის დედაქალაქში აშენდება ტურისტის სახლი 500 კაცზე. (საკდესი).



**ეს** შეხვედრა პარიზში მოხდა: მსოფლიოში პირველი კოსმონავტი იური გაგარინი და ფრანგული სპორტის სიამაყე ჟაკ ანკეტილი. ადრე ისინი, რა თქმა უნდა, ერთმანეთს არ იცნობდნენ, და მაინც შეხვედრა მხიარული და გულთბილი გამოდგა.

ანკეტილმა ძვირფას და საპატიო სტუმარს აჩუქა საკუთარი ველოსიპედი — მანქანა, რომელსაც მისთვის არა ერთი და ორი ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანია. ფრანგს სცოდნია, რომ იური გაგარინი სპორტის დიდი მოტრფიალეა, განსაკუთრებით კი ველოსპორტისა. კოსმონავტი თვლის, რომ ეს სახეობა ფიზიკური წრთობის ჩინებული საშუალებაა. ამიტომ მან ანკეტილს დიდი მადლობა გადაუხადა ასეთი ძვირფასი საჩუქრისთვის.

სურათზე თქვენ ხედავთ იური გაგარინსა და ჟაკ ანკეტილს. ფოტოს, რომელიც ფრანგულ ჟურნალ „მირუარ დიუ სიკლიზმიდანაა" აღებული, ასეთი წარწერა აქვს:

*„ტურ დე ფრანსის" გამარჯვებათა რეკორდსმენი ჟაკ ანკეტილი შეხვდა იური გაგარინს — კოსმოსის პირველ ადამიანს. ჟაკს არ დაუმალავს თავისი აღტაცება გაგარინით. რაც შეეხება საბჭოთა კოსმონავტს, იგიც კმაყოფილი იყო დიდ ნორმანდიელთან შეხვედრით. ეს შეხვედრა კოსმოსის, სპორტისა და მეგობრობის ტრიუმფი იყო".*



# რეგბისტები გამოვლენ... ლელობურთში

ყოველგვარ პროგრესზე ზედმეტია ლაპარაკი, თუ განვითარების დონე გარკვეული დროის განმავლობაში ერთ წერტილზეა გაყინული. რაც არ უნდა დიდი იყოს წარმატება, რომელსაც ჩვენმა რეგბისტებმა შარშანდელ სეზონში მიაღწიეს, მათ თვითდამშვიდების უფლება, რა თქმა უნდა, არა აქვთ. მით უფრო სასიამოვნოა რეგბისტების პირველი გამოსვლები თბილისის ჩემპიონატში, რომელიც რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა სტუდქალაქის სტადიონზე. სასიხარულოა, რომ შეჯიბრების ბევრმა მონაწილემ გამოავლინა მაღალი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება და, რაც მთავარია, უაღრესად კორექტული თამაში. სპორტის ამ სახეობაში დაშვებულ ძალისმიერ ილეთებს ზოგიერთი რეგბისტი ადრე უსინდისოდ იყენებდა. რა დასამალია და ზოგჯერ ხულიგნურადაც კი. გუნდების მწვრთნელთა მიერ ჩატარებულმა დიდმა აღმზრდელობითმა მუშაობამ დადებითი შედეგი გამოიღო. ასე რომ, რეგბის გულშემატკივრებს საშუალება მიეცათ სრული წარმოდგენა იქონიონ ამ თამაშის ნამდვილ არსზე.

... ქალაქის ჩემპიონობა მოიპოვა ახალგაზრდა, მაგრამ გულშემატკივართათვის კარგად ცნობილმა „განთიადის" გუნდმა. მან ყველა შეხვედრაში გააზრებული, კომბინაციური თამაში აჩვენა. თუ ადრე განთიადელები გამარჯვებას აღწევდნენ მეტწილად ცალკეული მოთამაშეების ინდივიდუალური მოქმედებით, ამჯერად მათ „უღალატეს" ტრადიციას და აქცენტი აიღეს ჯგუფურ, კოლექტიურ თამაშზე. ეს კი რეგბიში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მისასალმებელია. ამასთან დაკავშირებით შეცვალეს თამაშის მანერა წამყვანმა სპორტსმენებმაც. თუ ისინი ადრე იჭრებოდნენ მოწინააღმდეგის რიგებში ბურთის დაკარგვამდე, ახლა მეტად ფიქრობენ პასზე, დროულად ფეხით თამაშზე და ა. შ. ეს, პირველ რიგში ითქმის თავდამსხმელებზე გ. ტონიაზე, ნ. ყიფიანზე და ზ. მგელაძეზე.

თუმცა ქალაქის ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ ჩვენს რეგბისტებს მრავალი შეჯიბრება მოელით. განსაკუთრებით ბევრი „სამუშაო" აქვს „განთიადის" გუნდს. იგი ჯერ გამოვა ამავე საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობაზე... ლელობურთში, რომელიც მომავალ თვეში გაიმართება ქობულეთში. აგვისტოს ბოლოს კი გუნდი გაემგზავრება ლატვიის დედაქალაქში პროფკავშირთა პირველობაში მონაწილეობის მისაღებად.

**გ. მრელაშვილი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, რეგბის საქალაქო სექციის თავმჯდომარე.**

* * *

**სურათზე: თბილისის ჩემპიონი რეგბიში—„განთიადის" გუნდი.**
**ფოტო მ. ზარგარიანისა.**

# XVI ტრადიციული

## მინდორზე არიან მოსწავლე ფეხბურთელები

**აჭარა — გორი 2:1**

**თბილისი — საჩხერე 3:0**

**სამხრეთ ოსეთი—ლანჩხუთი 1:0**

**ქუთაისი. (ჩვენი კორ.).** გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა XVI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მეორე ტურის შეხვედრები ფეხბურთში. პირველ ქვეჯგუფში აჭარის გუნდმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა გორის კოლექტივი. აფხაზეთისა და ქუთაისის გუნდების შეხვედრაში მასპინძლებმა მეტოქის კარში შეძლეს ერთადერთი გოლის გატანა, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

მეორე ქვეჯგუფში თბილისელ ფეხბურთელებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს საჩხერელმა მოსწავლეებმა. დედაქალაქის გუნდის წევრებმა მხოლოდ უკანასკნელ 20 წუთში მოახერხეს თამაშში გარდატეხის შეტანა — 3 „მშრალი" ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში.

სამხრეთ ოსეთის ფეხბურთელებმა სძლიეს ლანჩხუთის გუნდს — 1:0.

## ჩოგბურთის ბადესთან

თბილისის კორტებზე გრძელდება მოსწავლეთა გუნდური პირველობა ჩოგბურთში.

პირველ დღეს თბილისის ჭაბუკთა I და II გუნდებმა ერთნაირი ანგარიშით 5:0 დაამარცხეს გარდაბნისა და სამხრეთ ოსეთის კოლექტივები. ქუთაისელებმა სძლიეს აჭარელ ჩოგბურთელებს — 4:1. საინტერესო გამოდგა აფხაზეთისა და რუსთავის გუნდების მატჩი. გამარჯვებული, — სოხუმის კოლექტივი, — გამოავლინა მხოლოდ წყვილთა შეხვედრამ.

მეორე ტურში თბილისის II გუნდმა სძლია აფხაზეთის კოლექტივს და გავიდა ფინალში.

გოგონათა შორის კონკურენციის გარეშეა თბილისის I გუნდი, რომლის ლიდერია ნ. თუხარელი. თბილისელებმა ერთნაირი ანგარიშით (5:0) აჯობეს ფოთისა და სამხრეთ ოსეთის სპორტსმენებს. ჩემპიონის სახელისთვის ფინალში ისინი შეხვდებიან აფხაზეთის ჩოგბურთელებს, რომლებმაც თავის მხრივ დაამარცხეს რუსთავისა (5:0) და თბილისის II (3:2) გუნდები.



### თელავი

ადგილობრივი ტურისტული ბაზა ახალ სეზონს მომზადებული შეხვდა. ტურისტთა უკეთ მომსახურების მიზნით აქ ბევრი კარგი ღონისძიება განხორციელდა: მეთოდკაბინეტი და ტურბაზის ბიბლიოთეკა შეივსო ახალი ლიტერატურით, სურათებით, ინვენტარით, გაკეთდა აბანო, ტურბაზის მოედანი დამშვენდა მწვანე ნარგავებით და სხვ.

ტურბაზამ სეზონი გახსნა 17 მაისს. მას შემდეგ მას ეწვია 8 ტურისტული ჯგუფი 180 კაცის შემადგენლობით. ტურისტული ბაზა, რომლის სეზონი 20 ოქტომბრამდე გაგრძელდება, წელს მოემსახურება 6.000-ზე მეტ ტურისტს.

**ს. შეშაბერიძე**

### სამტრედია

აქ დამთავრდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ზონალური შეჯიბრება ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ სოხუმის, ზუგდიდის, სამტრედიის რაიონების, აჭარის საოლქო საბჭოს ნაკრები გუნდები და სხვ., სულ 196 სპორტსმენი.

ქალთა შორის კონკურენციის გარეშე იყვნენ სოხუმის რაიონის საბჭოთა მეურნეობის ოსტატი ფრენბურთელები. როგორც ქვეჯგუფში, ისე ფინალურ ასპარეზობაშიც მათ არც ერთი პარტია არ წაუგიათ და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი.

ვაჟთა ასპარეზობაში ბოლო შეხვედრამდე გაურკვეველი იყო, თუ ვინ გახდებოდა ზონაში უძლიერესი. სოხუმისა და სამტრედიის გუნდების თამაშში გაიმარჯვეს სოხუმელებმა და პირველი ადგილიც დაისაკუთრეს.

**ჯ. ვაშაკიძე**

### ბორჯომი

ქალაქის ბაზებზე გაიმართა სამრეწველო-საწარმოო ზონის პირველობანი მძლეოსნობასა (მოსწავლეთა შორის) და ფრენბურთში. მძლეოსანთა ტურნირში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ბორჯომის რუსული საშუალო სკოლის გუნდმა.

ფრენბურთელ ვაჟთა პირველობაში გამარჯვება წილად ხვდა ბორჯომის ნაკრებს. ქალთა ტურნირი მოიგეს ვალეს სპორტსმენებმა.

**მ. ლაზარევი**

# ოთხმოცი ნიშნოსანი

უკვე სამი წელია, რაც საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის III კურსის სასწავლო პროგრამაში ჩათვლითი ტურისტული ლაშქრობაა შეტანილი. წელს იგი უფრო ფართო მასშტაბით ჩატარდა.

ტურისტული ლაშქრობა მოეწყო მარშრუტით: თბილისი — პატარა ლილო — ნორიოს ბავშვთა სახლი — ცხვარიჭამია — საგურამო — ზედაზენი — თბილისი. სტუდენტებმა გზაში დაყვეს ოთხი დღე და გაიარეს დაახლოებით 90 კილომეტრი.

გზად მათ ბევრი სასარგებლო ღონისძიება განახორციელეს. ნორიოს ბავშვთა სახლში და ცხვარიჭამიის მოედანზე გამართეს საჩვენებელი გამოსვლები ტანვარჯიშში, თოკის გადაძალვაში, კარვების გაშლაში, ფეხბურთში... მათ ინტერესით მოისმინეს მასწავლებელთა და ადგილობრივი მცხოვრებლების საუბრები ისტორიულ ძეგლებზე, ნახეს მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლი.

ამ ლაშქრობის შედეგად ოთხმოცმა სტუდენტმა შეასრულა ნორმატივი „ტურისტის ნიშანზე".

**ქ. ბაშელი**



**სურათზე: სტუდენტები კარავს შლიან სოფელ ცხვარიჭამიის მიდამოებში.**
**ფოტო ავტორისა.**



## რას ბუტბუტებდა დარბაზი

თბილისში, მონტინის ქუჩაზე შემთხვევით გვიან ღამით მომიხდა გავლა. უჩვეულო მოთქმამ მიიპყრო ყურადღება. დავინტერესდი. მივყევი ხმას. და აი, საოცრება! სპორტული დარბაზი მოთქვამდა, თანაც — უ. შექსპირის ენაზე, გულმოკლული ბუტბუტებდა ოტელოს მონოლოგს:

*მოდით, მომხედეთ, გაისარჯეთ, ფირზე აღბეჭდეთ ეს ჩემი ყოფა.*
*მომისმინეთ გაჭირვებულს, მათქმევინეთ მეც ორი სიტყვა.*
*ჩემს ჭირს და ვარამს ასე ნათლად ვერავინ გეტყვით:*
*მე სპორტსმენთათვის გამიწევია სამსახური, — თვითონც იციან;*
*მაგრამ ამაზე არაფერს ვამბობ. მე გთხოვთ მას მხოლოდ,*
*რომ ხალხს აუწყოთ ჩემი ყოფა, ასე ბედშავი,*
*მიწოდეთ იგი რაცა ვარ მე, ნურც რას მოუკლებთ*
*და ნურც არაფერს მოუმატებთ გაბოროტებით.*
*თქვით იცოდა-თქო სამსახური სპორტსმენებისა,*
*მაგრამ შეიქმნა სარემონტო.*
*დაუძველდა ჭერი, კედლები, გასახდელნი, საშხაპეები.*
*ოთახები დაიკავეს უცხო პირებმა.*
*გამიპარტახდა მოედანი.*
*ვიდექ, ველოდი დახმარებას და შეკეთებას.*
*არ მაქცევდა ყურადღებას ქარხნის ფიზსაბჭო.*
*ასე ვიყავი არა ერთ წელს, უპატრონო, მიუსაფარი,*
*ვიდრე არა თქვეს: გადაეცეს განათლების განყოფილებას.*
*მეც მიხაროდა, ვფიქრობდი, რომ მეშველებოდა.*
*ოჰ, როგორ შევცდი!*
*მან დარბაზში შემოზიდა კარადები, მერხნი, დაფანი*
*და გარდავიქეც უნებურად მე მათს საწყობად,*
*ეს მაშინ, როცა ჩემდაგვარი დარბაზები რაიონში ბევრი როდია!*
*ეს ყველაფერი აცნობეთ ხალხს და დაუმატეთ:*
*დასაშვებია ჩემი ყოფა ეს სავალალო?!*

დავინტერესდით. გამოირკვა, რომ **26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის სპორტული დარბაზი წლების განმავლობაში უპატრონოდ იყო მიტოვებული,** არ ტარდებოდა მუშაობა. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით **იგი შესაკეთებლად და საექსპლოატაციოდ გადაეცა ლენინის რაიონის განათლების განყოფილებას. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო, მაგრამ...**

**ხწორედ ამ სავალალო მდგომარეობაზე მოთქვამდა დარბაზი. როდის მოეღება ბოლო სამწუხარო ამბავს!? განა დასაშვებია ის, რასაც ამ სურათზე ხედავთ?!**

**ო. გელაშვილი**



## ბურთები და ქაღალდები

.მოიმარაგე შეშა ზაფხულობით, ტრუსები, ბურთები და მაისურები — ზამთრობით! — ამბობდნენ წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევის ფეხბურთელები.

ამ აზრის პრაქტიკაში განხორციელების მიზნით მათ მუდარით მიმართეს ამავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კ. მიქაბაძეს: ეს საქონელი როგორმე გვიყიდეო.

თავმჯდომარემ, თავის მხრივ, ბევრი თეთრი და ვარდისფერი ქაღალდი დახარჯა. მაგრამ, როცა ეს ქაღალდები მაღაზიებისგან ტრუსებსა და ბურთებს მოითხოვდნენ, მაღაზიები პასუხობდნენ: არ მიგვიღიაო; ხოლო როცა მაღაზიები სავსე იყო ტრუსებითა და ბურთებით, მაშინ თავმჯდომარე იხევდა უკან: ჩემი ბუღალტერია „სპორტულ ფორმაში" არ არის, ე. ი. თანხები არა მაქვსო.

როგორც ხედავთ, საბოლოოდ — არაფერია!..

რა ქნან კოლმეურნე ფეხბურთელებმა? ზაფხული ცხელია, სპორტული სეზონი გრძელი, ხოლო შარვლებითა და ქინქის ბურთით, ცხადია, ტყავის ბურთის ოსტატი ვერ გახდები.

**გ. კაკაბაძე**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**
სოფელი ფარცხანაყანევი,
წყალტუბოს რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამაგდარი პოეტი



„არავის არ სძინავს ისე აბნეულად, როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს“.

მხოლოდ მას, ვისაც ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ლექსისა და ჭადრაკის სიყვარული, შეეძლო ასე ეთქვა. და სწორედ ასეთი იყო გამოჩენილი ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი.

ქართული ჭადრაკის მემატიანე ვერასოდეს დაივიწყებს პაოლო იაშვილის ამაგს საბჭოთა საქართველოში საჭადრაკო ხელოვნების განვითარების საქმეში. დიდებული მგოსანი და საზოგადო მოღვაწე იყო თბილისის საჭადრაკო კლუბის დაარსების ერთ-ერთი მოთავე, დიდი ტურნირებისა და მატჩების ორგანიზატორი, საბჭოთა და უცხოელი ოსტატების სტუმართმოყვარე და ხელგაშლილი მასპინძელი.

— ჩემი ოცნებაა ვიხილო ჭადრაკის ქართველი ოსტატი, რომელიც ჩვენი ერის მდიდარ საჭადრაკო ტრადიციებს ქვეყანას გააცნობს, — ნატრობდა პაოლო.

და მისივე მეცადინეობით სულ მალე ამ ოცნებას ფრთები შეესხა: ქართველ მოჭადრაკეთა წრეში გამოჩნდა ნიჭიერი ახალგაზრდა—ვიქტორ გოგლიძე. პაოლო და მისი მეგობრები — ტიციან ტაბიძე, სანდრო ყანჩელი, იაკობ ნიკოლაძე თავს დასტრიალებდნენ მზარდ მოჭადრაკეს. და აი, 1928 წელს, თბილისში სტუმრად მყოფი მოსკოველი ოსტატი ნ. გრიგორიევი პაოლოს თაოსნობით მატჩში ეთამაშა ვ. გოგლიძეს.

— ჩემთვის სახელგანთქმულ ოსტატთან ორთაბრძოლა დიდი გამოცდა იყო, — იგონებს ვ. გოგლიძე. — მართალია, მატჩი წავაგე 1 ქულის განსხვავებით, მაგრამ მდიდარი გამოცდილება შევიძინე, რომელიც შემდგომ გამომადგა. ბრძოლის დროს მუდამ ვგრძნობდი პაოლოს ქომაგობას. ის ქორივით დასტრიალებდა ჩვენს მაგიდას და გულთან ახლოს მიჰქონდა თამაშის პერიპეტიები.

ვიქტორ გოგლიძე მოგვითხრობს, თუ რაოდენი სიხარული განიცადა პაოლომ, როცა მატჩის VII პარტია ქართველი მოჭადრაკის მოგებით დამთავრდა. აი, ამ პოზიციაში

ნ. გრიგორიევი



ვ. გოგლიძე

გოგლიძეს თითქმის 1 საათი უფიქრია, რათა გადამწყვეტი კომბინაცია ბოლომდე განეხილა. პაოლო, რომელიც იქვე მაგიდასთან იჯდა, ქვიდან გამოთლილ ქანდაკებას მოგაგონებდათ, ის მთელი არსებით გაეტაცა პოზიციის საიდუმლოებას. გოგლიძე ახორციელებს ჩანაფიქრს:

18. კ:f6 კ:f6 19. ლ:h7+ მფf8 20. ლh4! (შავები იძულებული არიან ხარისხი აიყვანონ) 20... კ:a1 21. ე:a1 მფe7! 22. ეd1 f6 23. ლh7!

აქ პაოლოს გაეღიმა ბოლო სვლის მოწონების ნიშნად. მაგრამ მაგიდას მაინც არ მოშორებია.

23... ეg8 24. მe4 d5 25. cd ed 26. მ:c5 ლc6 27. b4 მფf7 28. ეd4!

**პაოლო იაშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო**

(თეთრების პოზიცია უკვე მოგებულია. ისინი ამზადებენ გადამწყვეტ დარტყმას) 28... ეae8 29. ლd3 ეe5 30. f4 ეh5 31. f5! g6 32. ე:d5 gf 33. ლf3 მფg6 34. მd3 ეg5 35. მf4+ მფh6 36. მh3 ეg4 37. ლ:f5 ე:b4 38. მf4 ეb7 39. ლh5+ მფg7 40. ლg6+ მფf8 41. ეd8+ მფe7 42. ე:g8 და ნ. გრიგორიევი დანებდა.

20-იანი წლების დამლევს თბილისში დასახლდა გამოჩენილი რუსი ოსტატი ვ. ნენაროკოვი. 1930 წელს ისევ პაოლოს მეოხებით შედგა ვ. ნენაროკოვ — ვ. გოგლიძის მატჩი სპორტის ოსტატის წოდებაზე.

ვ. გოგლიძემ გაამართლა იმედები — მოიგო ძნელი ორთაბრძოლა. პაოლო იაშვილმა და მისმა მეგობრებმა საგანგებო ნადიმი გამართეს პირველი ქართველი ჭადრაკის ოსტატის „დაბადების“ გამო, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდა ახალგაზრდა მოჭადრაკე, ამჟამად ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი ა. ფალავანდიშვილი.

დიდ სიხარულს ამაგდარი პოეტი ექსპრომტითაც გამოეხმაურა, რომლის ბოლო ორი სტრიქონით ეს სტატია დავიწყეთ. „ჭადრაკის ქართველ ოსტატს“. ასე უწოდა თავის ექსპრომტს პაოლომ.

1934 წელს ჩვენს დედაქალაქში გაიმართა საბჭოთა ოსტატების ტურნირი ავსტრიელი მოჭადრაკის ჰანს კმოხის მონაწილეობით. რასაკვირველია, ტურნირს მუდამ ესწრებოდნენ განუყრელი მეგობრები — პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე.

ტურნირში ბრწყინვალედ გაიმარჯვა ვ. გოგლიძემ. დასკვნით ბანკეტს, რომელსაც მრავალი გამოჩენილი მოღვაწე დაესწრო, პაოლო თამადობდა. კმოხის სადღეგრძელო მან ფრანგულად წარმოსთქვა და ყველასთვის მოულოდნელად მაგიდის ქვემოდან გამოიღო და სტუმარს მიართვა ტორტი — ჭადრაკის დაფა თეთრი და კაკაოსფერი კრემისგან ჩამოსხმული საჭადრაკო ფიგურებით.

თუ დღეს ჭადრაკი საქართველოში აღმავლობის გზაზეა, ამაში პაოლო იაშვილის წვლილიც არის.

**თ. გიორგაძე**

## მ ი ა კ ე თავის სტიქიაშია

ქალაქ ნიიგატაში ქვემსუბუქი წონის იაპონელმა ძალოსანმა ი. მიაკემ მსოფლიოს ორი რეკორდი დაამყარა: სამჭიდის ჯამში მან 385 (120+120,5+144,5) კილოგრამი დააგროვა, ხოლო ატაცში 120,5 კილოგრამი აჩვენა. ორივე შედეგი მისსავე მსოფლიო რეკორდებზე უმჯობესია.

ამავე ასპარეზობაზე ხ. ფუკუდამ გაიმეორა მიაკეს წინანდელი მსოფლიო რეკორდი სამჭიდის ჯამში — 377,5 კილოგრამი.

## სპორტულ მსოფლიოში

▲ **როსტოკი** (გდრ). ქალაქის საწყლოსნო აუზში გერმანელი მოცურავეების გამარჯვებით დამთავრდა გდრ-ისა და უნგრეთის გუნდების ტრადიციული ასპარეზობა. მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 118:98. შეჯიბრება აღინიშნა ეროვნული რეკორდებით: გრეგორმა (გდრ) 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში აჩვენა 5.04,4, ხოლო 200 მეტრზე ბატერფლაით — 2.17,8; ვიგანდმა 100 მეტრი თავისუფალი სტილით გაცურა 55,2 წამში, ხოლო ხენინგერმა 200 მეტრზე ბრასით — 2.34,6. დამყარებულ იქნა უნგრეთის ერთი რეკორდი: ჩიკანიმ 200 მეტრი ზურგზე გაცურა 2 წუთსა და 18,2 წამში.

▲ **ფაენცა** (იტალია). აქ ორ დღეს მიმდინარეობდა იტალიისა და ფინეთის გუნდების შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. ორივეჯერ გაიმარჯვეს სტუმრებმა — 5:3 და 4,5:3,5.

▲ **კომპტონი** (აშშ). აქ გაიმართა ამერიკელი მძლეოსნების „ივნისის სტარტების“ პირველი შეჯიბრება. მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები 1 მილზე რბენაში. საერთო დონით მძლეოსნობის ისტორიაში იგი ყველაზე უფრო „სწრაფი“ გამოდგა: 8 სპორტსმენი „გამოვიდა“ 4 წუთიდან. გაიმარჯვა ბარლესონმა—3.57,4. ბრწყინვალე შედეგი ჰქონდა ჯ. ფიშბეკს 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში — 8.33,2 (აშშ-ის ახალი რეკორდი და მეექვსე შედეგი საერთოდ მსოფლიოში).

▲ **ნიუკას-ფოლსი** (აშშ). სტუდენტ მძლეოსანთა ასპარეზობისას რ. მეიესმა 100 მეტრი გაირბინა 10,2 წამში.

▲ **ვარშავა** „გვარდიის“ სპორტულ დარბაზში გაიმართა ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრება. პოლონელებს საპასუხო ვიზიტით ესტუმრნენ იტალიის (ვაჟები) და შვეციის (ქალები) გუნდები. ვაჟთა შეჯიბრების გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა. სამაგიეროდ, პირადში მიუღწეველი აღმოჩნდა იტალიელი მენიკელი — 115,30. მეორე იყო პოლონელი როკოსა — 113,25. მსგავსი მდგომარეობა გამეორდა ქალებშიც. გუნდურ ასპარეზობაში პირველობდნენ პოლონელები, პირადში კი გაიმარჯვა შვედმა ე. რიუდელმა — 74,6.

**„მეტალურგი“ (რუსთავი) — „დინამო“ (სოხუმი) 3:0 (1:0)**

**რუსთავი**, 9 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). დღეს ქალაქის სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე რსფსრ-ს „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეტალურგი“ და სოხუმის „დინამო“.

თამაშის პირველი წუთები ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. სახიფათო მომენტი კართან მხოლოდ მე-10 წუთზე შეიქმნა, როცა რუსთაველმა ხაბეიშვილმა თავური დარტყმით ბურთი სოხუმელთა კარისკენ გაგზავნა. ბურთი მცირე მანძილით აცდა მიზანს. 2 წუთის შემდეგ იგივე განმეორდა, ამჯერად უკვე მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ სოხუმელმა პაპასკირმა 3–4 მეტრიდან ვერ გაიტანა გოლი. „მეტალურგი“ ორი დებიუტანტი თამაშობდა — ვაშაკიძე და შენგელია. მათ კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობებს.

## „ბ“ კლასი

ორმხრივ სახიფათო იერიშებში გადიოდა დრო, გოლი კი არ ჩანდა. მაგრამ აი, 42-ე წუთზე ქოჩიაშვილმა („მეტალურგი“) მოატყუა მცველი და კარგად ჩააწოდა ბურთი მეტოქის საჯარიმო მოედანში... მეკარესთან ბრძოლაში ხაბეიშვილმა შეძლო ანგარიშის გახსნა.

მეორე ნახევრის დასაწყისში წამოვიდა წვიმა, მაგრამ მასპინძლებზე ამას არ უმოქმედნია: ისინი გამუდმებულად უტევდნენ სტუმრებს. ჯერ ჯიბლაძეს, შემდეგ კი ხაბეიშვილს შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მათი საბოლოო დარტყმები უზუსტო იყო. ამავე დროს თავგანწირულად თამაშობდა სოხუმელთა მეკარე მარღანია. მაგრამ 71-ე წუთზე ქოჩიაშვილმა ჯერ მცველი მოატყუა, შემდეგ მეკარეც და ანგარიში ორამდე გაზარდა. მანვე თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე მესამედ აიძულა სოხუმელები თამაში მოედნის ცენტრიდან დაეწყოთ. დარჩენილ დროში ანგარიში უცვლელი დარჩა.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუმრები შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ.

**რ. გაბრიჩიძე**

## გათამაშების ცხრილი

რსფსრ-ს IV ზონა

**მდგომარეობა 10 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (ბათუმი) | 9 | 4 | 5 | 0 | 9—4 | 13 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 8 | 5 | 0 | 3 | 7—4 | 10 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 8 | 2 | 5 | 1 | 6—3 | 9 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 8 | 3 | 3 | 2 | 6—6 | 9 |
| „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) | 8 | 2 | 5 | 1 | 7—5 | 9 |
| „თერგი“ (გროზნო) | 6 | 3 | 2 | 1 | 10—5 | 8 |
| „კოლხიდა“ (ფოთი) | 6 | 3 | 1 | 2 | 9—5 | 7 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 8 | 3 | 2 | 3 | 8—6 | 8 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 8 | 3 | 3 | 2 | 9—7 | 9 |
| „ლერნაგორცი“ (კაფანი) | 7 | 3 | 1 | 3 | 8—11 | 7 |
| „შრ. რეზერვები“ (მინერ. წყლ.) | 8 | 1 | 5 | 2 | 5—9 | 7 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 7 | 3 | 0 | 4 | 10—8 | 6 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 8 | 1 | 4 | 3 | 3—5 | 6 |
| „დინამო“ (ბაქო) | 8 | 2 | 2 | 4 | 8—11 | 6 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 8 | 2 | 2 | 4 | 7—10 | 6 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 7 | 1 | 4 | 2 | 3—7 | 6 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 8 | 1 | 4 | 3 | 6—10 | 6 |
| „უროჟაი“ (მაიკოპი) | 8 | 3 | 0 | 5 | 5—10 | 6 |

**შენიშვნა:** ბოლო ტურის მატჩებიდან ცხრილში შეტანილია მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის გუნდების შეხვედრები.

**„დინამო“ (კიროვაბადი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:1 (1:0)**

**კიროვაბადი**, 9 ივნისი. (ტელეფონით). დღეს აქ ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს ზონის ლიდერი — ბათუმელი თანაკლუბელები. თამაშის პირველ წუთზევე მასპინძლებმა წარმატებას მიაღწიეს — მარჯვენა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მაჰმუდოვმა გახსნა ანგარიში. 72-ე წუთამდე, მიუხედავად ბათუმელთა მწვავე იერიშებისა, კიროვაბადელები ამ უპირატესობას ინარჩუნებდნენ. მაგრამ აი, ბათუმელთა მორიგი შეტევა გოლით დაგვირგვინდა და გუნდებმა თითო ქულა ჩაიწერეს ცხრილში.






## ოლიმპიელთა მონაწილეობით

**მოსკოვში** დამთავრდა ფრენბურთელთა ორ წრედ გამართული წინაოლიმპიური ტურნირი. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის I და II ნაკრები გუნდები, „ბურევესტნიკის“ ორი, აგრეთვე „დინამოსა“ და შეიარაღებულ ძალთა კოლექტივები.

ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა ჩვენი ქვეყნის პირველმა ნაკრებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა II ნაკრები, რომელმაც მხოლოდ ორი დამარცხება განიცადა გამარჯვებულ კოლექტივთან მატჩებში.

სსრ კავშირის I ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ: ი. ჩესნოკოვი, დ. ვოსკობოინიკოვი, ი. ბუგაენკოვი, ნ. ბურობინი, ი. პოლიაკოვი, ი. ვენგეროვსკი, ე. სიბირიაკოვი, ვ. კოვალენკო, გ. მონძოლევსკი, ვ. კალაჩიხინი და სამი ახალბედა ოლიმპიელი — თბილისელი ვ. კაჭარავა, რიგელი ს. ლიუგაილო, ალმა-ატელი ჟ. სურამბაევი. ამ სამეულმა გამოავლინა თამაშის საუკეთესო თვისებები.

• • •

ყველა ოლიმპიელი მონაწილეობდა **ლენინგრადის** ტრეკზე გამართულ 6 ქალაქის (მოსკოვი, ლენინგრადი, ტულა, ხარკოვი, კიევი, რიგა) სამატჩო შეხვედრაში. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ მოსკოველი ველოსიპედისტები. შესანიშნავი მომზადება გამოავლინა ლენინგრადელმა ს. მოსკვინმა. გამოირჩეოდა აგრეთვე ახალგაზრდა ვ. ლოგუნოვი. სამწუხაროდ, თავიანთ შესაძლებლობაზე ცუდად გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი რიგელი ი. ბოდნიექსი და მსოფლიო ჩემპიონი ვ. ერმოლაევა.

• • •

ველოსიპედისტთა სამატჩო შეხვედრა გაიმართა **სიმფეროპოლშიც**. ტურნირში ყველას აჯობეს ყირიმელმა სპორტსმენებმა. **თბილისის გუნდმა** უკან ჩამოიტოვა ტაშკენტისა და ოდესის კოლექტივები და მეორე ადგილი მოიპოვა.

## რუსთავის ჩემპიონები

რუსთავში დამთავრდა ქალაქის პირველობა ფრენბურთში.

ქალთა შორის გაიმარჯვა განათლების განყოფილების გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მშენებლები, ხოლო მესამეზე — აზოტოვანი სასუქების ქარხნის ფრენბურთელები.

ვაჟთა შორის პირველობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ განათლების განყოფილებისა და მეტალურგიული ქარხნის გუნდები. მეტალურგებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება და ქალაქის ჩემპიონებიც გახდნენ.

**ჯ. ხუბუა**

**ს უ რ ა თ ზ ე:** მეტალურგიული ქარხნისა და განათლების განყოფილების ფრენბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მწვავე მომენტი.

ფოტო ავტორისა.



რეკორდისკენ...
ფოტო ბ. კამენსკისა.

**82,24** | **58,77**

**8.07,2** | **14.02,2**

სეზონის გაინტენსიურებასთან ერთად, სრულ ძალაში შედის „სპორტის დედოფალიც" — მძლეოსნობა, რომელიც სულ უფრო და უფრო მაღალ ტემპს იღებს ტოკიოს ოლიმპიადისთვის. გასულ შაბათსა და კვირას მსოფლიოს სტადიონებზე — იაპონიიდან ამერიკამდე — მძლეოსანთა მიერ ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი.

სამწუხაროდ, ამ მხრივ, მტყორცნელთა გარდა, არ გამოირჩეოდნენ საბჭოთა მძლეოსნები, რომლებიც სოფიაში გამოვიდნენ ბულგარული გაზეთის „ნაროდნა მლადეჟის" პრიზზე გამართულ ასპარეზობაში.

აქ გ. ზიბინამ ბირთვი ჰკრა 16,75 მეტრზე. ი. პრესი მხოლოდ 14 სანტიმეტრით ჩამორჩა მის მაჩვენებელს. ე. კუზნეცოვამ ბადრო ტყორცნა 55,28 მეტრზე. საბჭოთა მძლეოსნებისთვის სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა ვაჟთა შორის ვ. კომპანეეცმა, რომლის ბადრო დაეცა 58,77 მეტრზე. ამავე შეჯიბრებაში ბულგარელმა ე. კერკოვამ 80 მ თარჯრბენში აჩვენა შედეგი 10,7. რუმინელმა მ. ჩოკინამ სამხტომში მოიპოვა სეზონის საუკეთესო შედეგი ევროპაში—16,23 მ.

ბუდაპეშტში დ. კულჩარმა შუბი ტყორცნა 82,24 მეტრზე.

პარიზში მ. ჟაზიმ 3.000 მეტრი გაირბინა 8 წუთსა და 07,2 წამში.

იაპონიის ახალი რეკორდი დაამყარა კ. ცუბურაიამ. ქალაქ ნიიგატაში, თავისი ქვეყნის სპარტაკიადაზე, ამ სპორტსმენმა 5.000 მეტრი გაირბინა 14 წუთსა და 02,2 წამში.



ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირისა და რსფსრ-ს ნაკრებ გუნდებს შორის. პირად ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი ე. ავერკოვიჩი.

**სურათზე:** ელვირა ავერკოვიჩი ასრულებს ვარჯიშს სალტით.
ფოტო ვ. შანდრინისა (საქდესი).

# გრივსი გაექცა ჯოჯოხეთურ ფეხბურთს

**ბურჟუაზიული სპორტის ზნე-ჩვეულებანი**

ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, სახელგანთქმული „საუკუნის მატჩის" მონაწილე ჯიმ გრივსს უახლოეს დროში დიდი უსიამოვნებანი ელის. რამდენიმე წლის წინ „ტოტენჰემ ჰოტსპურის" კლუბმა ფინანსური საქმეების მოგვარების მიზნით ასტრონომიულ ფასად მიჰყიდა გრივსი იტალიის „მილანს". მზიურ იტალიაში სულ ერთი წლით ყოფნის შემდეგ გრივსი, როგორც თვითონ ამბობს, იტალიის პროფესიული ფეხბურთის კატორღულმა რეჟიმმა იძულებული გახადა სამშობლოში გაქცეულიყო.

ცოტა ხნის შემდეგ ინგლისის ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთ „უიკლში" გრივსის ხელმოწერით გამოქვეყნდა შენიშვნები მისი იტალიაში ცხოვრებაზე. გრივსი წერს, რომ ცხოვრება მილანში „ჯოჯოხეთური იყო", რომ იგი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა მასზე სპეციალურად მიჩნეული „მეურვის" უნებართვოდ. „ცოლშვილთან ერთად კინოთეატრში წასვლა მთელ პრობლემას წარმოადგენდა, ვინაიდან ასეთი გართობა ჩემი წვრთნის გეგმით არ იყო გათვალისწინებული. თავს მონასავით ვგრძნობდი. ოჯახურ წრეში გატარებული ზედმეტი საათი სპორტული რეჟიმის დარღვევის საბაბით მემუქრებოდა მოზრდილი ფულადი ჯარიმით. ინგლისში ამისი მსგავსიც კი არაფერია. თამაშისა და წვრთნის შემდეგ ინგლისელი ფეხბურთელი, როგორც მოეხასიათება, ისე ატარებს თავისუფალ დროს"...

ჩვენ არ ვფიქრობთ გრივსის მემუარების მთლიანად გამეორებას, ვინაიდან უკვე ნათქვამის მიხედვითაც ჩანს, როგორი არასახარბიელო ცხოვრება ჰქონდა მას მილანში. იტალიაში ნამყოფმა ცნობილმა ჩილელმა ფეხბურთელმა ლიონელ სანჩესმაც ასევე ვერ გაუძლო იქაურ რეჟიმს და იგი მთლიანად ემხრობა გრივსს.

სიმართლე ძნელი მოსასმენია! „მილანის" კლუბმა გრივსის სტატიები „ბოროტისეულ ცილისწამებად" მიიჩნია და ფეხბურთელი პასუხისგებაში მისცა. საქმე მილანის სასამართლოში უნდა გაირჩეს, საიდანაც მოსდის და მოსდის უწყებები გრივსს. იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით პრესაში ცილისწამებისთვის მძიმე სასჯელია გათვალისწინებული: ხანგრძლივი ციხე და დიდი ფულადი ჯარიმა. თუ გრივსი თავს აარიდებს სასამართლოს, მაშინ საქმეს დაუსწრებლად განიხილავენ და მას დააპატიმრებენ, როგორც კი რომელიმე გუნდის შემადგენლობაში „ესტუმრება" იტალიას.

საკითხავია, რისთვის წამოიწყეს „მილანის" გამგებლებმა ეს სასამართლო საქმე? ნუთუ ჯარიმის გადახდევინების მიზნით? რასაკვირველია, არა! მათთვის გაცილებით ჯობს ინგლისელი ფეხბურთელი ცილისმწამებლად მოგვაჩვენონ. გრივსის მხილებანი ხომ ავტორიტეტს უფუჭებს კლუბს, რომლის ძალაც სახელგანთქმულ იმპორტულ ფეხბურთელებზეა დამყარებული! გრივსის პუბლიცისტური გულახდილობა ხელს უშლის კლუბს ექსტრა-კლასის ფეხბურთელთა შეგროვებაში საზღვარგარეთ, ვინაიდან ინგლისური ფეხბურთის ამ „ვარსკვლავის" ბედი მრისხანე გაფრთხილებად ჟღერს ყველა ფეხბურთელისთვის, რომელიც ოდესმე იოცნებებს „მილანში" თამაშზე.

„სპორტივნიე იგრი", № 4.

## დაწინაურდნენ ფინეთისა და საფრანგეთის გუნდები

ჟენევა. აქ მიმდინარე კალათბურთელთა ოლიმპიადისწინა ტურნირში წარმატებით თამაშობენ ფინელი სპორტსმენები. მათ უნგრეთის ძლიერ გუნდზე გამარჯვების შემდეგ მოუგეს ისრაელის (60:55), შვეიცარიისა (89:50) და საბერძნეთის (73:67) სპორტსმენებს. ფინელები დამაჯერებლად ლიდერობენ „ა" ქვეჯგუფში.

„ბ" ქვეჯგუფში დაწინაურდნენ ფრანგები. მათ მოიგეს 4 შეხვედრა, რომელთაგან აღსანიშნავია ესპანეთის გუნდზე გამარჯვება — 93:66.

დანარჩენ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: „ა" ქვეჯგუფი — უნგრეთი—ავსტრია 86:72, გდრ— შვეიცარია. 78:50, ისრაელი — ავსტრია 62:45, უნგრეთი — ისრაელი 61:55, გდრ — საბერძნეთი 78:68, „ბ" ქვეჯგუფი — ესპანეთი — ლუქსემბურგი 88:58, ბელგია — დიდი ბრიტანეთი 100:64, საფრანგეთი—ბელგია 78:73, საფრანგეთი — ლუქსემბურგი 100:29, დიდი ბრიტანეთი—ჰოლანდია 84:66, დიდი ბრიტანეთი—ლუქსემბურგი 61:56, ბულგარეთი — ბელგია 84:74.

# სიურპრიზების გარეშე

**ამსტერდამის საზონათშორისო ტურნირზე**

✦

გადადებული პარტიების დამთავრებას არავითარი მოულოდნელობა არ მოჰყოლია. დარგამ გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და პირველი დამარცხება აგემა ტურნირის ერთ-ერთ ლიდერს — ივკოვს.

შტეინმა ლენდიელთან პარტია გადასდო საგრძნობი პოზიციური უპირატესობით, ხოლო დამთავრების შემდეგ აქტივში ქულა ჩაიწერა. სმისლოვს ბერგერთან გადადებულ პოზიციაში ზედმეტი პაიკი ჰქონდა. პარტიის განახლების შემდეგ ბერგერმა მხოლოდ 5 სვლა გააკეთა და დანებდა.

ფოგელმანმა მოუგო პორატს, ხოლო პახმანმა — პერესს.

XV ტურში ტრინგოვმა დაამარცხა ვრანეშიჩი.

* * *

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს დ. ბრონშტეინმა თამაშის განუახლებლად ჩაიწერა ქულა: ევანსი დარწმუნდა თავისი პოზიციის უიმედობაში და დანებდა.

XV ტურის შემდეგ 12 ქულით ლიდერობს სპასკი. მეორე ადგილზეა ლარსენი (11,5). 11-11 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან ბრონშტეინი, სმისლოვი და ტალი.

დღეს, XVI ტურში ერთმანეთს ხვდებიან: ბილეკი — სმისლოვი, ლენდიელი — სპასკი, რეშევსკი — შტეინი, ევანსი — ტალი, ვრანეშიჩი — ბრონშტეინი, ივკოვი — ტრინგოვი, როსეტო — დარგა, ლარსენი — კვინონესი, პახმანი — ბერგერი, ფოგელმანი — ბენკო, გლიგორიჩი — პერესი, პორტიში — პორატი.

**მდგომარეობა XV ტურის შემდეგ**

| № | მონაწილენი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ი. ბილეკი (უნგრეთი) | ● | ½ | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | 0 | 0 | ½ | 0 | — | — | — | — | — | — | — | | ½ | 4½ |
| 2 | ლ. ლენდიელი (უნგრეთი) | ½ | ● | ½ | ½ | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | ½ | ½ | 0 | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | ½ | 9 |
| 3 | ს. რეშევსკი (აშშ) | ½ | ½ | ● | 1 | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | — | — | — | — | — | — | — | — | ½ | 1 | ½ | 10 |
| 4 | ლ. ევანსი (აშშ) | 1 | ½ | 0 | ● | ½ | ½ | 0 | ½ | 1 | 0 | 1 | 0 | — | — | — | — | — | — | — | — | ½ | ½ | 1 | 0 | 7 |
| 5 | ზ. ვრანეშიჩი (კანადა) | ½ | 0 | 0 | ½ | ● | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | — | — | — | — | — | — | — | — | ½ | 0 | ½ | 1 | 0 | 3½ |
| 6 | ბ. ივკოვი (იუგოსლავია) | 1 | 1 | ½ | ½ | 1 | ● | ½ | 1 | 1 | 0 | — | — | — | — | — | — | — | — | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 10½ |
| 7 | ჰ. როსეტო (არგენტინა) | ½ | 0 | 0 | 1 | 1 | ½ | ● | 0 | * | — | — | — | — | — | — | — | — | ½ | 0 | 0 | 1 | ½ | 0 | * | 5 |
| 8 | ბ. ლარსენი (დანია) | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | 0 | 1 | ● | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 11½ |
| 9 | ო. კვინონესი (პერუ) | ½ | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | * | — | ● | — | — | — | — | — | — | 0 | 0 | 1 | 0 | ½ | 1 | 1 | ½ | — | 5½ |
| 10 | კ. დარგა (გფრ) | 1 | 0 | ½ | 1 | ½ | 1 | — | — | — | ● | — | — | — | — | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | — | 9½ |
| 11 | გ. ტრინგოვი (ბულგარეთი) | ½ | 0 | ½ | 0 | 1 | — | — | — | — | — | ● | — | — | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | — | 5½ |
| 12 | დ. ბრონშტეინი (სსრ კავშირი) | 1 | ½ | ½ | 1 | — | — | — | — | — | — | — | ● | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | — | 11 |
| 13 | მ. ტალი (სსრ კავშირი) | 1 | ½ | ½ | — | — | — | — | — | — | — | — | ½ | ● | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | ½ | 11 |
| 14 | ლ. შტეინი (სსრ კავშირი) | ½ | 1 | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | ½ | ● | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 10 |
| 15 | ბ. სპასკი (სსრ კავშირი) | 1 | — | — | — | — | — | — | — | — | 0 | 1 | ½ | ½ | ½ | ● | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 12 |
| 16 | ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი) | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ● | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 11 |
| 17 | ლ. პახმანი (ჩეხოსლოვაკია) | — | — | — | — | — | — | — | 0 | 1 | ½ | 1 | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | ● | 1 | 0 | 1 | 1 | * | — | ½ | 7½ |
| 18 | ა. ფოგელმანი (არგენტინა) | — | — | — | — | — | — | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | 0 | ● | * | 1 | 1 | — | — | 0 | 4½ |
| 19 | ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) | — | — | — | — | — | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | 1 | * | ● | 0 | — | — | — | ½ | 7 |
| 20 | ი. პორატი (ისრაელი) | — | — | — | — | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | ● | — | — | — | — | 4½ |
| 21 | ფ. პერესი (კუბა) | — | — | — | ½ | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | — | — | ● | — | — | — | 2½ |
| 22 | პ. ბენკო (აშშ) | — | — | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | ½ | * | — | — | — | — | ● | — | — | 4½ |
| 23 | ბ. ბერგერი (ავსტრალია) | — | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | — | — | — | — | — | — | ● | — | 1½ |
| 24 | ლ. პორტიში (უნგრეთი) | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | * | 0 | — | — | — | — | ½ | 1 | 0 | 0 | ½ | 1 | ½ | — | — | — | — | ● | 7½ |

# ვერიეს შეცვლის ფონტენი

პარიზის „კოლომბის" სტადიონზე საფრანგეთის ნაკრების დამარცხებამ უნგრელებთან ევროპის თასზე „სამფეროვანთა" (საფრანგეთის ნაკრების ფორმაა) გულშემატკივრების დიდი იმედის გაცრუება გამოიწვია. მათ აღარ ჰქონდათ ბუდაპეშტში რევანშის იმედი და მალე ეს აზრი კიდევაც გამართლდა. მარცხის მთავარ მიზეზად ფრანგებს მიაჩნიათ ნაკრების ახლანდელი ხელმძღვანელი ჟორჟ ვერიე, რომლის მმართველობის სამი წლის მანძილზე გუნდი მარცხს მარცხზე განიცდის. სწორედ მან დაატოვებინა გუნდი კოპას, რომელსაც „ნაკრების ბალასტი" უწოდა. ხელი არ შეუშალა ცნობილი ნახევარმცველის — მიულერის გაყიდვას უცხოეთში, აწარმოებს ურიცხვ უშედეგო ექსპერიმენტს და ა. შ. გაზეთებს მოყავთ საინტერესო ცნობა, რომ მადრიდიდან უნგრელებთან შეხვედრისთვის დროებით დაბრუნებული მიულერი ნაკრების ახალ ცენტრალურ თავდამსხმელ კომბინს მხოლოდ თამაშის დღეს გაეცნო.

„ეკიპი" და „ფრანს ფუტბოლი" სასტიკად ესხმიან თავს ვერიეს, რომლის გადაყენება პარიზში უკვე გადაწყვეტილად მიაჩნიათ. ვერიეს ნაკრების ხელმძღვანელის პოსტზე შეცვლის წარსულში პოპულარული ფეხბურთელი ჟიუსტ ფონტენი.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.

